წინადადების წევრთა სინტაგმატიკის ზოგიერთი საკითხი ქართულში

ასოცირებული პროფესორი ნათია ფარტენაძე

28. 05. 2025

კვლევა წარმოაჩენს ქართულ ენაში სახელური სინტაგმების სტრუქტურულ მრავალფეროვნებას. სინტაგმა, როგორც სინტაქსური წყვილი, წარმოადგენს ენის სტრუქტურის ფუნდამენტურ ელემენტს, რომელიც სხვადასხვა ტიპის კონსტრუქციებით გამოიხატება.

მიმოვიხილავთ სახელური სინტაგმის ხუთ ძირითად სტრუქტურულ მოდელს და სამწევრა სინტაგმების თავისებურებებს, რაც ქართული ენის სინტაქსური სისტემის მოქნილობასა და გამომსახველობით სიმდიდრეზე მიუთითებს.

np

ნათია ფარტენაძე

სახელური სინტაგმის ძირითადი ტიპები



ატრიბუტული მსაზღვრელი + საზღვრული

აქაური წყალი, ჩემი ბარათი

სუბსტანტიური მსაზღვრელი + საზღვრული

მთაწმინდის ნიავი, აბრეშუმის ქსოვილი

ატრიბუტული მსაზღვრელი + თანდებულიანი სახელი

ლამაზ ეზოსთან, ძველ ქალაქში

თანდებულიანი ან მოქმ. და ვით. ბრუნვაში მდგარი სახელი + უთანდებულო ნაზმნარი სახელი

სოროში მჯდომი, ადამიანისგან მოკლული...;
ხელით წერა, ჯოხით სიარული, ალალად თქმული...

ორი თანდებულიანი სახელი

დირექტორთან მოლაპარაკებაზე, წიგნზე მუშაობაში

ქართულ ენაში სახელური სინტაგმის სტრუქტურული მრავალფეროვნება განპირობებულია მისი შემადგენელი კომპონენტების სხვადასხვა ტიპით. ეს მოდელები ასახავს ქართული ენის სინტაქსური სისტემის მოქნილობას და გამომსახველობით სიმდიდრეს.

ნათია ფარტენაძე

პირველი ტიპი: ატრიბუტული მსაზღვრელი და საზღვრული

უმარტივესი მოდელი

წარმოადგენს სახელური სინტაგმის ყველაზე გავრცელებულ ფორმას ქართულში

სტრუქტურა

ზედსართავი სახელი + არსებითი სახელი;
ნაცვალსახელი + არსებითი სახელი;
რიცხვითი სახელი + არსებითი სახელი...

მაგალითები:

აქაური წყალი, ჩემი ბარათი, ლამაზი სახლი, მაღალი ხე, ხუთი სახლი...

ატრიბუტული მსაზღვრელისა და საზღვრულისგან შემდგარი სინტაგმა წარმოადგენს უმარტივეს და ყველაზე გავრცელებულ მოდელს ქართულ ენაში. ამ ტიპის კონსტრუქციაში მსაზღვრელი ახასიათებს საზღვრულს და გამოხატავს თვისებას ან კუთვნილებას.

ეს მოდელი ქმნის მკაფიო სინტაქსურ კავშირს, სადაც კომპონენტები ერთმანეთს ავსებენ და ქმნიან აზრობრივად დასრულებულ ერთეულს.

ნათია ფარტენაძე

მეორე და მესამე ტიპი: სუბსტანტიური და თანდებულიანი კონსტრუქციები

სუბსტანტიური მსაზღვრელი + საზღვრული

ეს ტიპი გამოხატავს კუთვნილებით-წარმომავლობით მიმართებებს და ხშირად გვხვდება ქართულში.

- მთაწმინდის ნიავი
- აბრეშუმის ქსოვილი
- ქალაქის ქუჩები

ატრიბუტული მსაზღვრელი + თანდებულიანი სახელი

ეს კონსტრუქცია ქმნის უფრო რთულ სტრუქტურულ ერთეულს, სადაც მსაზღვრელი უკავშირდება თანდებულიან სახელს.

- ლამაზ ეზოსთან
- ძველ ქალაქში
- მაღალ მწვერვალზე

ორივე ტიპი წარმოადგენს ქართული ენის სინტაქსური სისტემის მნიშვნელოვან ნაწილს. სუბსტანტიური მოდელი ხაზს უსვამს წარმომავლობას, ხოლო თანდებულიანი კონსტრუქცია ამდიდრებს სივრცით და სხვა მიმართებებს.

ნათია ფარტენაძე

მეოთხე ტიპი: თანდებულიანი ან მოქმ. და ვით. ბრუნვაში მგარი სახელი + უთანდებულო ნაზმნარი სახელი

სოროში მჯდომი, ადამიანისგან მოკლული...; ხელით წერა, ჯოხით სიარული, ალალად თქმული - წარმოადგენს უფრო რთულ სტრუქტურულ ერთეულს, სადაც პირველი კომპონენტი თანდებულიანი ან მოქმ. და ვით. ბრუნვაში მდგარი სახელი

.

-ვით’ თნდებულიანი სახელით გადმოცემული სინტაგმები:

დედასავით კითხვა, დედასავით საქმე, მამასავით მართალი, ბავშვივით ლამაზი, ვაზივით ნაზი…

დედასავით საქმე იცოდა.

1. დედასავით საქმე;
2. საქმე იცოდა.

საქმე დედასავით იცოდა.

1. საქმე იცოდა.
2. დედასავით იცოდა;

ორივე შემთხვევაში *დედასავით’* წევრი უბრალო დამატებაა, ე. ი. მისი სინტაქსური ფუნქცია უცვლელია, მხოლოდ ის წევრია სხვადასხვა, რომელსაც მიემართება. აქ იცვლება სინტაქსური დამოკიდებულების სახე. პირველ შემთხვევაში (დედასავით საქმე) სახელებს შორის შუალობითი მართვაა, ხოლო მეორე შემთხვევაში (დედასავით იცოდა) ცალმხრივი მართვაა (სუბორდინაცია), სახელსა და ზმნას შორის.

ზოგჯერ წინადადების წევრის გადასმა ცვლის არამარტო სინტაქსურ მიმართებას, არამედ მის სინტაქსურ ფუნქციასაც. მაგალითად: **მთასავით კაცი იდგა** და**კაცი მთასავით იდგა .**

I.1. <u>მთასავით</u> კაცი; 2. კაცი იდგა. II. 1. კაცი იდგა; 2. <u>მთასავით</u> იდგა. სინტაქსური წყვილი - „კაცი მთასავით“ - ვერ გამოიყოფა.

უ/დ

ვით. გარ.

ნათია ფარტენაძე

მეხუთე ტიპი: რთული სინტაქსური კონსტრუქციები

ორი თანდებულიანი სახელი

მთაში მოგზაურობაზე, წიგნზე მუშაობაში... - სტრუქტურულად ყველაზე რთული მოდელი, სადაც ორივე კომპონენტი თანდებულიანია.

სპეციფიკური სემანტიკურ-სინტაქსური მიმართებები

ეს უკანასკნელი მოდელი განსხვავდება სხვა ტიპებისგან იმით, რომ მასში ორივე კომპონენტი თანდებულიანია და მათ შორის არსებული სინტაქსური კავშირიც საინტერესოა.

ეს რთული სინტაქსური კონსტრუქციები წარმოაჩენს ქართული ენის სტრუქტურულ სიმდიდრეს და მოქნილობას. ისინი საშუალებას იძლევა გამოიხატოს კომპლექსური მიმართებები სახელებს შორის.

ნათია ფარტენაძე

სამწევრა სინტაგმები

დროის გამომხატველი

ძველ დროს, ამ დროს, გასულ კვირას, მომავალ თვეს, იმ ხანად



ადგილის გამომხატველი

იმ ადგილას, ამ მხარეს, იმ მხარეს

ხანგრძლივობის გამომხატველი

ბევრი დრო, მთელი დღე, ცოტა ხანი

ვითარების გამომხატველი

ამ სახით, იმ რიგად, ასეთ პირობებში

სამწევრა სინტაგმები წარმოადგენს საინტერესო შემთხვევას, როდესაც სამი სრულმნიშვნელოვანი სიტყვა ქმნის წყვილს, რომელთაგან ორი წარმოადგენს ერთ წევრს. მიუხედავად იმისა, რომ ეს შესიტყვებები რამდენიმე სიტყვისგან შედგება, წინადადებაში ისინი ერთ წევრად აღიქმება და ერთიან სინტაქსურ ფუნქციას ასრულებს.

ნათია ფარტენაძე

დროის გამომხატველი კონსტრუქციები

1 **მარტივი დროის გამომხატველი**

ძველ დროს (ძველად), ამ დროს (ამჟამად), იმ დროს (მაშინ), გასულ კვირას, მომავალ თვეს

2 **რთული დროის გამომხატველი**

გაკვეთილების დამთავრებამდე, დღის დამთავრებამდე, წლის დასრულებამდე, ზაფხულის დადგომამდე

3 **კონკრეტული მაგალითები**

გაკვეთილების დამთავრებამდე სამსახურიდან **გამორბოდა; გამოცდის დაწყებამდე ხუთი წუთი რჩებოდა; ერთ დღეს** სოფელში **წავედი; იმ დროს ბავშვი ვიყავი**

დროის გამომხატველი კონსტრუქციები წარმოადგენს სამწვერა სინტაგმების მნიშვნელოვან ჯგუფს. მიუხედავად იმისა, რომ ისინი შედგება სხვადასხვა სიტყვისგან (სახელი + სახელი), სინტაქსურად ერთ მთლიან წევრს ქმნიან.

მაგალითად, წინადადებაში "გაკვეთილების დამთავრებამდე ბიბლიოთეკაში ვისხედით" - "გაკვეთილების დამთავრებამდე" არის ერთი წევრი და გამოხატავს დროის გარემოებას.

ნათია ფარტენაძე

სინტაქსური ერთეულების ფუნქციური მნიშვნელობა

ჩანაცვლების შესაძლებლობა

ხშირად მათი ჩანაცვლება შეიძლება ერთი სიტყვით

ერთიანი სინტაქსური ფუნქცია

წინადადებაში ერთ წევრად აღიქმება

სტრუქტურული მრავალფეროვნება

მიუთითებს ქართული ენის სინტაქსური სისტემის მოქნილობაზე

ქართული ენის სახელური სინტაგმების სტრუქტურული მრავალფეროვნება და სამწევრა სინტაგმების თავისებურებები მიუთითებს ენის სინტაქსური სისტემის მოქნილობასა და გამომსახველობით სიმდიდრეზე.

ეს კიდევ ერთხელ ადასტურებს, რომ სახელური სინტაგმები საჭიროებს დაწვრილებით ჩაშლას და შესწავლას. წარმოდგენილი კვლევა მნიშვნელოვან წვლილს შეიტანს ქართული ენის სინტაქსური სტრუქტურის უკეთ გააზრებაში.

ნათია ფარტენაძე

გმადლობთ ყურადღებისთვის!